F75№887

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 30 სექტემბერი, 1945 წ. № 194 (7409). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

მზად შევხვდეთ დემობილიზებულ მეომართა ახალ წყებას. მოწინავე (1-ლი გვერდი).
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის. (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა. (1-ლი გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში. (1-ლი გვერდი).
საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკე (1-ლი გვერდი).
ტ. თოდრაძე—როგორ უვლიან ციტრუსებს. (მე-2 გვერდი).
დემობილიზებულნი შრომის ფრონტზე. (მე-2 გვერდი)).
პ. კოლხიდელი—ფოთი დღეს. (მე-3 გვერდი).
პ. ჭიოკაძე—ფეროშენადნობთა ქარხნის პერსპექტივები. (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები (1-ლი და მე-4 გვერდი).)

## მზად შევხვდეთ დემობილიზებულ მეომართა ახალ წყებას

მთელი საბჭოთა ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას წითელი არმიის მეომართა მეორე რიგის დემობილიზაციის შესახებ. ისტორიული გამარჯვების შემდეგ ომგადახდილთა ათეული ათასები დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახს, კვლავ ჩაებმებიან მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. მრავალი კურსდაუმთავრებელი სტუდენტი განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში, რათა შემდეგ ჩადგეს საბჭოთა სპეციალისტების რიგებში.

წითელი არმიის მეომართა მეორე რიგის დემობილიზაცია ახალ ამოცანებს აყენებს საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებათა და უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელთა წინაშე. საჭიროა ღირსეულად შევხვდეთ ომგადახდილებს, უზრუნველვყოთ ისინი ყოველივე იმით, რასაც ითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის მიერ მიღებული კანონი დემობილიზებულთა შესახებ.

ჩვენ უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს ამ საქმეში. გასული 2-3 თვის მანძილზე საქართველოში ათასობით ჩამოვიდნენ წითელი არმიიდან პირველი რიგის დემობილიზებული მეომრები. ხალხი ყველგან გულთბილად ხვდებოდა მათ. სადგურებში მოწყობილი იყო მიმღები პუნქტები, სადაც დემობილიზებულებს სწრაფად უფორმებდნენ საბუთებს, აძლევდნენ მათთვის საინტერესო ცნობებს, ეხმარებოდნენ ტრანსპორტით სახლში მისასვლელად. ფართოდ გაშალეს მუშაობა სპეციალურად ჩამოყალიბებულმა დემობილიზებულთა მიღებისა და შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის კომისიებმა, რომელთა მოვალეობას შეადგენს ომგადახდილთა სამუშაოზე მოწყობა, მათს საყოფაცხოვრებო და მატერიალურ პირობებზე ზრუნვა.

ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს დემობილიზებულთა მიღებისათვის, საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობისათვის. მრავალმა დემობილიზებულმა მიიღო საჭირო დახმარება. მარტო თბილისში დემობილიზებულებს ერთდროული დახმარების სახით მიეცათ 212.210 მანეთი, სამრეწველო საქონლის 2.500 ორდერი, 1.800 კუბური მეტრი შეშა. ბევრს შეუკეთდა ბინები, მიეცა ახალი საცხოვრებლები.

საქართველოში ჩამოსულ დემობილიზებულთაგან დიდი ნაწილი მალე შეუდგა მშვიდობიან შრომას ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე. ისინი მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან, დიდ აღმზრდელობითს გავლენას ახდენენ ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებზე, ხელს უწყობენ შრომის დისციპლინის განმტკიცებას, წინ სწევენ საქმეს. მრავალი მათგანი გეგმებს ერთიორად და ერთისამად ასრულებს.

დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით ეპყრობიან საწარმოთა ხელმძღვანელები ომგადახდილთ. დემობილიზებულთათვის მუშაობისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა ქარხნის, ფაბრიკის, შახტის მთელი კოლექტივის საქმე გახდა. თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს დემობილიზებულთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქ არმიიდან მოსულნი ეუფლებიან ახალ პროფესიებს. მათ ხალისით ასწავლიან საამქროების ოსტატები და ქველოსტატები. ფაბრიკის ადმინისტრაციამ ყოფილ ფრონტელს ამხ. მეტონიძეს შეუკეთა ბინა, გ. ალაპიშვილს მისცა ახალი საცხოვრებელი, ყველა დემობილიზებული მოამარაგა სამრეწველო საქონლით. ეს ტიპური მაგალითია ჩვენი საწარმოების ცხოვრებიდან.

პირველი რიგის დემობილიზებულთა მასობრივად დაბრუნების დრო დაემთხვა მოსავლის აღების ცხარე დღეებს. გუშინდელი მებრძოლები დღეს ფრონტული თავდადებით მუშაობდნენ მოსავლის უდანაკარგოდ აღებაზე. მრავალი მათგანი ხელმძღვანელ სამუშაოზეა არჩეული. დემობილიზებული დ. ოსეფაშვილი არჩეულ იქნა ყვარლის რაიონის სოფელ საბუის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ კოლმეურნეობაში მოსავლის აღება ჩაშლის საფრთხეში იყო. ახალმა თავმჯდომარემ მეომრულად დარაზმა კოლმეურნეები, და მოსავალიც დროზე აიღეს. ყვარლის რაიონში 160 დემობილიზებულიდან სამუშაოზე უკვე მოწყობილია 147. დანარჩენები ისვენებენ. მათ მიეცათ ერთდროული დახმარება სურსათით და სამრეწველო საქონლით. რამდენიმე დემობილიზებულს აუშენეს ახალი სახლები, ბევრს მისცეს სამშენებლო მასალა სახლების შესაკეთებლად. ეს ტიპური მაგალითია ჩვენი საკოლმეურნეო სოფლისათვის.

მაგრამ ზოგან არის ნაკლოვანებებიც დემობილიზებულთა საყოფაცხოვრებო და შრომითი მოწყობის დარგში. ბევრგან ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს დემობილიზებულთა ბინების შეკეთება (მაგალითად, თბილისის კიროვის, 26 კომისრის, ლენინის რაიონებში). საწარმოებში ყველგან როდი ზრუნავენ ომგადახდილთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. გვხვდება ისეთი მახინჯი მოვლენებიც, მართალია ისინი ძლიერ ცოტაა, როცა ბიუროკრატულად ექცევიან არმიიდან დაბრუნებულთ, არ აწყობენ მათ სამუშაოზე, არღვევენ კანონს. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის დემობილიზებულთა მიღებისა და შრომითი მოწყობის კომისიამ არმიიდან დაბრუნებული ამხ. ჩოჩია გაგზავნა თბილხილბოსტანვაჭრობის სისტემაში, სადაც ის ომამდე მუშაობდა, მაგრამ მისთვის იქ ადგილი არ აღმოჩნდა. არტელ „ქართული პურის" გამგეობას სამუშაო არ აღმოაჩნდა თავისი ყოფილი 4 მუშაკისათვის, თუმცა იმავე ხანებში მიიღო 17 ახალი თანამშრომელი. ასეთი დანაშაულებრივი ფაქტები ძირშივე უნდა აღვკვეთოთ.

წითელი არმიის მეომართა მეორე რიგის დემობილიზაცია ახალ ამოცანებს აყენებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების წინაშე. საჭიროა უკეთესად მოვემზადოთ ჩვენი სახელოვანი მეომრების შესახვედრად, გამოვიყენოთ ამ მხრივ დაგროვებული გამოცდილება. დემობილიზებულთა გადაყვანა საცხოვრებელ ადგილებამდე, მათთვის დოკუმენტების გაფორმება, საჭირო დახმარების გაწევა და სამუშაოზე გაგზავნა ახლა უფრო ზუსტად, უფრო ორგანიზებულად უნდა მოვაწყოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დემობილიზებულთა უზრუნველყოფას საცხოვრებელი ფართობით, შეშით, გაძლიერდეს მათი ბინების რემონტი.

ბოლშევიკების პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი მშობლიურად ზრუნავენ წითელი არმიის დემობილიზებული მეომრებისათვის. ადგილობრივი ორგანოები მოწოდებული არიან გულისხმიერად, პასუხისმგებლობით მოეკიდონ დემობილიზებულთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, ზუსტად გაატარონ დემობილიზებულთა შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის მიერ მიღებული კანონი.

ყოველმხრივ მზად შევხვდეთ ჩვენს მამაც ომგადახდილ მეომრებს!

## საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მისალმება საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო მოგესალმებიან თქვენ, წითელი არმიის ერთ-ერთ გამოჩენილ მხედართუფროსს და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ნიჭიერ ორგანიზატორს — თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავის დღეს.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებენ თქვენ ჯანმრთელობას შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კავშირის მარშალ ამხ. ა. მ. ვასილევსკის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით და სახელმწიფოსა და წითელი არმიის წინაშე მისი თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად ამხ. ა. მ. ვასილევსკი დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი.
1945 წლის 29 სექტემბერი.

## ზ ე ი მ ი ტ ყ ვ ა რ ჩ ე ლ შ ი

**ტყვარჩელი („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).** 28 სექტემბერს ტყვარჩელში იშვიათი ზეიმი იყო. აქ ჩამოვიდნენ ტყვარჩელის მეშახტეთა შეფები—გულრიფშის რაიონის კოლმეურნეები, რომლებმაც მეშახტეებს დიდძალი საჩუქრები ჩამოუტანეს. კვეზანიდან მოყოლებული ტყვარჩელამდე გალიზგის ხევში დაკლაკნილ გუდრონირებულ გზატკეცილზე მძიმედ მოდიოდნენ გულრიფშელ კოლმეურნეთა მიერ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით და ხილით დატვირთული ვებერთელა საბარგო ავტომანქანები. ბოსტნეული, ბადრიჯანი, მსხალი, ვაშლი, ყურძენი, ლეღვი, პომიდორი, კომბოსტო—ყოველივე ეს საჩუქრად მიჰქონდათ კოლმეურნეებს ტყვარჩელელი მუშებისათვის.

შეფებს ტყვარჩელელმა მეშახტეებმა გულმხურვალე შეხვედრა მოუწყეს. მათი ჩამოსვლისთანავე გაიმართა მიტინგი, რომელიც კოლმეურნეთა და მეშახტეთა ურღვევი ძმური კავშირის, ჩვენი სოფლისა და ქალაქის მშრომელთა მტკიცე ერთიანობის, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

გულრიფშის რაიონის კოლმეურნეთა სახელით ტყვარჩელის შახტებზე შეფობის აღების აღსანიშნავად მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა მერხეულის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. კაკულიამ.

საპასუხო სიტყვები წარმოსთქვეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გ. ფიფიამ, სტალინის სახელობის შახტის უფროსმა რ. რონსაძემ, ქვანახშირის მოპოვების ოსტატმა პ. ზვერევიჩმა, ტრესტის მმართველმა შ. გარდაფხაძემ. მათ პირობა დასდეს, რომ კოლმეურნეთა მიერ ტყვარჩელის მეშახტეებზე შეფობის აღების პასუხად ისინი კიდევ უფრო გააძლიერებენ ქვანახშირის ამოღების ტემპებს. თავის მხრივ ტყვარჩელელმა მეშახტეებმა იკისრეს კოლმეურნეთათვის დახმარების გაწევა სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ინვენტარის რემონტით.

* * *

რესპუბლიკის 30-ზე მეტი რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა განაცხადეს სურვილი აიღონ შეფობა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ტრესტებზე და საწარმოებზე. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტზე შეფობის აღების სურვილი გამოსთქვეს ოჩამჩირის, ზუგდიდის, აბაშის, გულრიფშისა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობებმა. ტყვარჩელის ახალი შახტების მშენებლობაზე (ტყვარჩელმშენი) შეფობას კისრულობენ ქობულეთის, გალის და ლანჩხუთის რაიონების კოლმეურნეობები.

**ა. ლეფთერიძე**

### პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

## პროფორგანიზაციების დახმარება დემობილიზებულ მეომრებს

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ განიხილა საკითხი წითელი არმიიდან დემობილიზებული მეომრების საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებისა და სამუშაოზე მოწყობის შესახებ. მოხსენებებით გამოვიდნენ ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის, ელექტრომანქანათა მშენებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სუსტი დენის ელექტრომრეწველობის პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ აღნიშნა, რომ ელექტრომრეწველობის ზოგიერთ საწარმოში საკმაო ყურადღება არ ექცევა ყოფილ ფრონტელთა მიღებას და შრომითს მოწყობას, და წინადადება მისცა საქარხნო კომიტეტების ყველა თავმჯდომარეს პირადად ესაუბრონ თვითეულ დემობილიზებულს და გამოარკვიონ რა ესაჭიროება მას. საჭიროა დაწესდეს სასტიკი კონტროლი, რომ თვითეული დემობილიზებული მეომრისათვის შეიქმნას ნორმალური საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები. წითელი არმიიდან ყველა დაბრუნებულს უნდა გაეწიოს დახმარება სამუშაოს მიღებაში მათი კვალიფიკაციის შესაბამისად. იმათთვის, ვისაც რაიმე სპეციალობა არა აქვთ, საჭიროა მოეწყოს ინდივიდუალური და ბრიგადული საწარმოო-ტექნიკური სწავლება კურსებზე და საწარმოთა საამქროებში.

პროფორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ ოქტომბრის განმავლობაში შეკეთებულ და მოწყობილ იქნას საერთო საცხოვრებლები მარტოხელა დემობილიზებულთათვის, დახმარება გაეწიოთ ყოფილი მეომრების ოჯახებს ბინების მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ჩატარებაში. საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნან ისინი ავეჯით, საოჯახო ნივთებითა და სათბობით.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნო წინადადებას იძლევა მატერიალური დახმარება გაეწიოთ დემობილიზებულებს და მათს ოჯახებს, ისინი პირველ რიგში იქნან მომარაგებულნი სამრეწველო საქონლით და კვების პროდუქტებით დამხმარე მეურნეობებიდან. საჭიროების მიხედვით მათ უნდა მიეცეთ საგზურები დასასვენებელ სახლებში, ხოლო სამკურნალო-საკურორტო კომისიის დასკვნით—სანატორიუმებში და კურორტებზე.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილებით საბინაო მეურნეობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მოაწყოს კონტროლი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სახლებში დემობილიზებულებისა და მათი ოჯახებისათვის ბინების მომზადების მიმდინარეობისადმი. პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებს და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს დაევალათ წითელი არმიის ყოფილ მეომართა კულტურულ-მასობრივი მომსახურება — ლექციების, საუბრების მოწყობა, გაზეთებით, ლიტერატურით მომარაგება.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ პროფკავშირთა ყველა ცენტრალურ კომიტეტს დაავალა მოახსენონ პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრისათვის და 1946 წლის 1 იანვრისათვის წითელი არმიიდან დემობილიზებულთა მიღებისა და მოწყობისათვის მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შესახებ. (საკდესი).

## სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისაგან

შემოსულ შეკითხვებთან დაკავშირებით განვმარტავთ:

1. სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომთან არსებული ცენტრალური ცნობათა ბიურო აწარმოებს მტრის ჯარების მიერ უცხოეთში გარეკილ, ომთან დაკავშირებით მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან ევაკუირებულ და ომის დროს უკვალოდ დაკარგულ პირთა ძებნას სამოქალაქო მოსახლეობიდან.

2. ცენტრალური ცნობათა ბიუროს მისამართია: ქ. მოსკოვი 127, კლიმენტოვსკის შესახვევი, სახლი № 1. ამ მისამართით უნდა გაიგზავნოს ყველა შეკითხვა მოქალაქეთა ზემოჩამოთვლილი კატეგორიების მოძებნის შესახებ.

## საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკე

**ლონდონი,** 29 სექტემბერი. (საკდესი). საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს კომუნიკეში ნათქვამია:

„საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღეს ორი სხდომა ჰქონდა. დილით თავმჯდომარეობდა ვ. მ. მოლოტოვი, ნაშუადღევს—ვან ში-ძე.

ორივე სხდომა მიეძღვნა მინისტრების საბჭოს მიმდინარე სესიის ოქმების განხილვას.

შემდეგი სხდომა შესდგება ხვალ, დღის 3 საათზე".

## დაიწყო საბჭოთა ჯარების გამოყვანა მანჯურიიდან

**ჩანჩუნი,** 29 სექტემბერი. (საკდესი). საბჭოთა სარდლობის ცნობით, საბჭოთა ჯარების ნაწილობრივი გაყვანა მანჯურიიდან უკვე რამდენიმე დღის წინათ დაიწყო. მთავარი ძალების გაყვანა დაიწყება ოქტომბრის მეორე ნახევარში. მანჯურიიდან ყველა საბჭოთა ჯარების გაყვანა დამთავრდება ამა წლის ნოემბრის დამლევისათვის. ჯარების გაყვანა სწარმოებს მარშალ მალინოვსკის კონტროლით, რის შესახებაც ეცნობა ჩინეთის სარდლობას.

# ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

## სკოლების ინსპექტორები

რსფს რესპუბლიკის სახკომსაბჭომ დაამტკიცა დებულება სკოლების ინსპექტორის შესახებ. სკოლების ინსპექტორი განახორციელებს სახელმწიფო კონტროლს რსფს რესპუბლიკის განსახკომის სისტემის სკოლებში სწავლებისა და აღზრდის ხარისხისადმი. მას ევალება სკოლებისა და სახალხო განათლების განყოფილებების მიერ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა შესრულების შემოწმება.

სკოლების ინსპექტორებად ინიშნებიან საუკეთესო მასწავლებლები, სკოლების გამგეები და დირექტორები, რომლებსაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი პედაგოგიური ან საუნივერსიტეტო განათლება და ხელმძღვანელი პედაგოგიური მუშაობის სტაჟი (სახალხო განათლების რაიონული და საქალაქო განყოფილებათა ინსპექტორებისათვის არანაკლებ 5 წლისა, სახალხო განათლების საოლქო და სამხარეო განყოფილებათა და ავტონომიური რესპუბლიკების განსახკომთა ინსპექტორებისათვის არანაკლებ 7 წლისა და რსფს რესპუბლიკის განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლების სამმართველოს ინსპექტორებისათვის არანაკლებ 10 წლისა). (საკდესი).

## მოტორები და გენერატორები სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის

**სვერდლოვსკი,** 29 სექტემბერი. (საკდესი). ბარანჩინსკაიას კალინინის სახელობის ელექტრომანქანების მშენებელი ქარხანა აფართოებს წარმოებას სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის. განახლდა მცირე და საშუალო სიმძლავრის ელექტროძრავების გამოშვება, ათვისებულია ახალი ტიპის მოტორების წარმოება ქვანახშირის, ნავთისა და მეტალურგიული მრეწველობისათვის. უკვე დამზადებულია ასობით მძლავრი მოტორი დონბასის წყლით დაფარული შახტებიდან წყლის ამოსაქაჩავად. სვერდლოვსკის ოლქის საკოლმეურნეო ელექტროსადგურებისათვის ქარხანამ გაგზავნა პირველი 85 გენერატორი.

კონსტრუქტორებმა შექმნეს 1-დან 10 კილოვატამდე სიმძლავრის ახალი ტიპის ელექტრომოტორი „ურალი". იგი კარგად არის დაცული გარეშე ზეგავლენათაგან და გადიდებული მექანიკური სიმტკიცე აქვს.

ელექტრომოტორების წარმოება ქარხანაში ნაკადურ მეთოდზეა გადაყვანილი. ამის მეოხებით მოტორების გამოშვება სამნახევარჯერ გადიდდა.

[illegible]

## ნავთის მრეწველობის ინჟინერთა [illegible]

[illegible]

## არქიტექტორები ეხმარებიან საკოლმეურნეო მშენებლობას

**მინსკი,** 29 სექტემბერი. (საკდესი). ბელორუსიაში დიდად განვითარდა სასოფლო მშენებლობა. ნასოფლარებში უკვე აგებულია 150 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. საკოლმეურნეო სოფლის აღდგენას დიდ დახმარებას უწევენ არქიტექტორები. მინსკის ოლქის რუდენსკის რაიონში რამდენიმე თვეს მუშაობდა 15 მოსკოველი არქიტექტორისა და ინჟინრისაგან შემდგარი ბრიგადა. მან დაგეგმა 78 საკოლმეურნეო სოფელი.

ბელორუსიის სახკომსაბჭოსთან არსებულმა არქიტექტურის საქმეთა სამმართველომ ჩაატარა კონკურსი სოფლების საუკეთესო დაგეგმვაზე და გლეხთა სახლების, სასოფლო კლუბების, სასოფლო საბჭოების შენობების, კოლმეურნეობათა საწარმოო შენობების საუკეთესო პროექტებზე. რესპუბლიკის რაიონებში დაიგზავნა საკოლმეურნეო სახლების 15 ათასი ტიპური პროექტი.

გომელის ოლქში მოწყობილია სასოფლო შენობათა პროექტების მოძრავი გამოფენა. მან უკვე მოიარა ოლქის ყველა რაიონი. პროექტების განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ კოლმეურნეები. ახლა გამოფენა რესპუბლიკის სხვა ოლქებში იგზავნება.

## სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის სამრეწველო საწარმოების მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

28 სექტემბერს მოსკოვში გაიხსნა სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარიატის სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი, რომელიც მიძღვნილია გემების 1945-1946 წლების საზამთრო რემონტის მომზადებისა და ჩატარებისადმი.

თათბირი გახსნა სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისარმა ამხ. შაშკოვმა.

გემების საზამთრო რემონტის მომზადებისა და ჩატარების ამოცანათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ვ. ი. რახმანინი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი. (საკდესი).

## პარტიული ცხოვრება

# ასე იზრდებიან კომუნისტები

შვიდი წლის წინათ მოვიდა თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში ოლღა ლიპარტელიანი. თავდაბალი და შრომისმოყვარე, მუდამ იმის ცდაში იყო, რომ კარგად შეესწავლა წარმოების ტექნიკა და მაღალნაყოფიერად ემუშავა. 1942 წელს, როცა ამიერკავკასიას უშუალოდ დაემუქრა მტრის შემოჭრის საფრთხე, ლიპარტელიანი საამქროდან არ გამოდიოდა, მთელ ენერგიას სამშობლოს გამარჯვების ინტერესებს ახმარდა.

მაშინ გადასწყვიტა მან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებში შესვლა. პარტიულმა ბიურომ ერთდროული დავალება მისცა. პარტორგანიზაციის მდივანი თვალყურს ადევნებდა, თუ როგორ ასრულებდა ლიპარტელიანი ამ დავალებას, აძლევდა ახსნა-განმარტებას, ეხმარებოდა. დავალების შესრულების დროს წამოჭრილმა ზოგიერთმა სიძნელემ დაარწმუნა ლიპარტელიანი, რომ საჭირო იყო მეტი ცოდნა, ზრუნვა საკუთარი პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

ლიპარტელიანი პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს და ახალი დავალება მისცეს. იგი სისტემატურად სწავლობდა პარტიული მუშაობის საკითხებს, იმაღლებდა თეორიულ დონეს, წარმოებაშიც სანიმუშოდ მუშაობდა.

ახლა ლიპარტელიანი პარტიის წევრია. პარტიულ დავალებათა შესრულების პროცესში გაიზარდა და გამოიწრთო. ამჟამად მეოთხე საამქროს კედლის გაზეთის რედაქტორობა აქვს მინდობილი. საინტერესოდ და მიმზიდველად აკეთებს გაზეთს. ამ პატარა გაზეთში მუდამ მებრძოლი და საჭირო წერილები თავსდება საამქროს ცხოვრებიდან, შუქდება მოწინავე ადამიანთა გამოცდილება, დისციპლინის საკითხები, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და სხვ.

ლოლა სიჭინავა 1938 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. პირველ ხანებში საგიტაციო მუშაობას ეწეოდა. თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა აგიტატორმა. შემდეგ პარტბიუროს წევრად აირჩიეს. გაიზარდა როგორც პარტიული მუშაკი. აიმაღლა საწარმოო კვალიფიკაციაც, უკვე წუნმდებელთა გადასამზადებელ კურსებს ხელმძღვანელობდა ფაბრიკაში. მიმდინარე წლის ივნისში ფაბრიკის ტექნიკურ დირექტორად დააწინაურეს. ამჟამად საკავშირო კ. პ. (ბ) პროგრამისა და წესდების შემსწავლელთა წრეს ხელმძღვანელობს.

პარტიულ დავალებათა შესრულების პროცესში გაიზარდა თამარ ბაიდაური, ამჟამად მეოთხე საამქროს პარტბიუროს მდივანი. მას სანიმუშოდ აქვს დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რამაც გააძლიერა საწარმოო საკითხებისადმი საამქროს მთელი კოლექტივის ყურადღება. ეს საამქრო მოწინავეა ფაბრიკაში. ორასოვანი, სამასოვანი, ოთხასოვანი კომუნისტები ვ. ოლქიაშვილი, ნ. მურღულია, მ. ლაბაძე და სხვები მთელი კოლექტივისათვის მაგალითის მაჩვენებელნი არიან. საამქრო 169 პროცენტით ასრულებს გეგმას და ორი თვის განმავლობაში ინარჩუნებს ფაბრიკის ადმინისტრაციისა და პროფორგანიზაციის გარდამავალ წითელ დროშას.

საგამომჭრელო საამქროში ეწეოდა აგიტაციას ეკატერინე ოქროევა, და თუ საამქრომ 8 თვის განმავლობაში 23 ათასზე მეტი მეტრი ქსოვილის ეკონომია გასწია, ამაში გარკვეული წვლილი შეიტანა აგიტატორმა ოქროევამაც. ახლა მას აგიტკოლექტივის ხელმძღვანელობა აქვს დავალებული, რაც მის პოლიტიკურ ზრდას მოწმობს.

ასევე გაიზარდნენ პარტიული დავალების შესრულების პროცესში პარტბიუროს მდივნის მოადგილე, ამავე დროს საფაბრიკო კედლის გაზეთის რედაქტორი ელისაბედ დარჩიაშვილი, პარტიის წევრობის კანდიდატი თამარ მაჭარაძე და სხვები.

ფაბრიკაში 220 კომუნისტი მუშაობს. თითქმის ყველა მათგანისათვის არის გამონახული შესაფერისი პარტიული დავალება. პარტიული ბიურო და მისი მდივანი ფ. აფაქიძე დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტების მიერ დავალებათა დროულად შესრულებას. ხშირად ხდება შესრულების შემოწმების შედეგების განხილვა პარტბიუროს სხდომასა და პარტიულ კრებაზე. ეს აძლიერებს კომუნისტების პასუხისმგებლობის გრძნობას, უნერგავს მათ პარტიული მუშაობის ჩვევას და ზრდის პოლიტიკურად.

პარტბიურო კომუნისტების მიერ ნაკისრ საწარმოო ვალდებულებათა შესრულებასაც ამოწმებს. ეს ხელს უწყობს შრომის დისციპლინის განმტკიცებას, დადებითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდაზე. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი მოწინავეა გეგმების შესრულებაში. გამრჯე, ბეჯითი ადამიანები წარმატებით იბრძვიან მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოსაშვებად და კარგ შედეგებსაც აღწევენ.

ე. ხუნდაძე

# მარტო დადგენილების მიღებით წინ ვერ წავალთ

საამქროში განუწყვეტელი ხმაურია. გამალებით მუშაობენ დაზგები. პარტბიუროს მდივანი გულმოდგინედ ათვალიერებს ყოველ უბანს, ყოველ კუთხეს.

ძეხვის დამამზადებელი მანქანა „კუტერი" წყობილებიდან გამოვიდა. საამქრო ძეხვის საშრობი ჩარჩოების ნაკლებობას განიცდიდა. ქვაბები მოუკალავი იყო, რასაც ცუდი შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. შეკეთებას საჭიროებდა საწმენდი მანქანა, სასწორები. ყოველივე ეს მექანიკური საამქროს არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგი იყო.

— სასწრაფოდ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი,—სთქვა მდივანმა. მუშაობა დამთავრდა. პარტბიუროს მდივანი კომბინატის ხელმძღვანელ მუშაკებს ესაუბრა.

მექანიკური საამქროს მუშაობის საკითხი მორიგ ღია პარტიულ კრებაზე განიხილეს. გაცხოველებული მსჯელობა გაიმართა. სიტყვებით გამოვიდნენ საამქროს უფროსები, ოსტატები, მუშები, მთავარი ინჟინერი.

კრებამ ერთხმად მიიღო პრაქტიკული ღონისძიება. ეს 5 აპრილს მოხდა. მეორე დღიდანვე დაიწყო მუშაობა ამ ღონისძიების განსახორციელებლად. საამქროს პარტჯგუფების თაოსნობით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მეტი ყურადღება მიექცა დისციპლინის განმტკიცებას, გაძლიერდა კონტროლი აღებულ ვალდებულებათა შესრულებისადმი.

პარტიული ბიუროს მდივანი ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ღონისძიების შესრულებას, პირადად ამოწმებდა მუშაობის მიმდინარეობას.

მორიგ პარტიულ კრებას მდივანმა დადგენილების შესრულების მდგომარეობა გააცნო. კომბინატის მუშაკები ხალისით ლაპარაკობდნენ, თუ როგორ მიაღწიეს დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ელექტრომექანიკური საამქრო მწყობრიდან გამოსული მოტორების შეკეთებისათვის სხვა საწარმოს მიმართავდა, რაც მუშაობას აფერხებდა. ეს საკითხი პარტბიურომ შეისწავლა. სხდომაზე მოისმინეს საამქროს გამგის ინჟინერ მალინოვის მოხსენება. გამოირკვა, რომ იქ, სადაც შესაძლებელი იყო სამკილოვატიანი ძალის მოტორის გამოყენება, 5 კილოვატიანი მუშაობდა. მოუწესრიგებელი იყო ელექტროგაყვანილობა. კრებამ მიიღო გადაწყვეტილება: ერთ დეკადაში მოეწყოთ მოტორების გადაჯგუფება და ადგილობრივი ძალებით მისი შეკეთება, მოეწესრიგებინათ ელექტროგაყვანილობა.

12 დღის შემდეგ პარტბიუროს წევრმა ა. მჭედლიშვილმა შეამოწმა ამ დადგენილების შესრულება და შედეგი ბიუროს სხდომაზე მოისმინეს. დადგენილების ყველა პუნქტი შესრულებული იყო.

თბილისის ხორცკომბინატის პარტორგანიზაციაში დადგენილებათა შესრულების შემოწმებას შემთხვევითი ხასიათი როდი აქვს. პარტბიუროს მდივანი ა. ასლანიანი დიდ ყურადღებას უთმობს ამ საკითხს. პარტიული კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ენერგიულად მუშაობენ კომუნისტები თამარ დავაშვილი (კომბინატის მთავარი ინჟინერი), არჩილ მჭედლიშვილი (საამქროს უფროსი), რაზმაძე (ბრიგადირი), ილინსკი (სალახი) და სხვ.

გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გულმოდგინედ ზრუნავენ ხორცკომბინატის საამქროთა პარტორგანიზაციებიც.

სულ სხვა მდგომარეობაა წისქვილკომბინატის პირველადს პარტორგანიზაციაში. აქ ვერ ანხორციელებენ ადმინისტრაციაზე კონტროლის უფლებას. დაბალ დონეზე დგას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მივიწყებულია დადგენილებათა შესრულების შემოწმება. მიმდინარე წლის 17 იანვარს პარტიულმა კრებამ მოისმინა მთავარი ინჟინრის მოხსენება საამქროების სანიტარული მდგომარეობის შესახებ. დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი. გავიდა რამდენიმე თვე. 19 აპრილს პარტორგანიზაციის ღია კრებაზე (ოქმი № 12) მოისმინეს კომბინატის მთავარი ინჟინრის მოხსენება პირველი კვარტალის გეგმის შესრულების შედეგებზე. კრებამ ისევ აღნიშნა, რომ დაფქვის საამქროში ანტისანიტარული მდგომარეობაა და მისი ლიკვიდაციისათვის ღონისძიება დასახა. ისევ გავიდა რამდენიმე თვე, მაგრამ პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ჯანინოვს და ბიუროს წევრებს არ უფიქრიათ ამ დადგენილების შესრულების შემოწმებაზე. ასეთივე მდგომარეობაა სააგიტაციო მუშაობის საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების საქმეშიც.

ამ მაგალითიდან უნდა დავასკვნათ: მარტო დადგენილების გამოტანით, რაგინდ სრულყოფილიც უნდა იყოს იგი, წინ ვერ წავალთ. საჭიროა ყველა დადგენილების დროზე და განუხრელად განხორციელება, მისი ყოველი პუნქტის შესრულებაზე მტკიცე კონტროლის დაწესება. ეს გაზრდის თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობის გრძნობას და წინ წასწევს საქმეს.

მ. მდინარაძე

მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისა და პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრების მზადებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები, კოსტრომის ოლქის კოსტრომის რაიონის კოლმეურნეობა „XII ოქტომბრის" პარტიული ორგანიზაციის მდივანი მ. ვ. ავერინა (მარცხნივ), ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ი. შუმილოვი და სამეტსკის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ა. დ. გუბანკოვა.
ფოტო ლ. ნეძდანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## გამოცდილების ტრიბუნა

# როგორ უვლიან ციტრუსებს

მახარაძის რაიონის ურეკის ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი შ. გოგუაძე, უფროსი აგრონომი ა. კობიძე) სამამულო ომის წლებში ერთიორად გაადიდა ციტრუსოვანი და სხვა ძვირფასი კულტურების მოსავალი. ომამდელი 8 მილიონის ნაცვლად, მეურნეობამ შარშან სახელმწიფოს მარტო მანდარინი ჩააბარა 19 მილიონი ცალი, ერთ მილიონამდე ცალი ლიმონი და ფორთოხალი, გარდა ამისა, დიდძალი ხურმა, პეკანი, ფეიხოა, ტუნგო.

შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის აქ განუწყვეტლივ ზრუნავენ. ყოველწლიურად ამზადებენ პირუტყვის ასეულ ტონა ნაკელს, რაც მცენარეთა ძირებთან მარტის პირველ რიცხვებში ნიადაგის შებარვისას შეაქვთ. ნაკელი შეაქვთ ხის ხნოვანობის მიხედვით, საშუალოდ ძირზე 25, ზოგზე კი 40-მდე კილოგრამი. შემოდგომაზე თვითეული ახალგაზრდა ციტრუსოვანი ხის ირგვლივ, 5 კვადრატულ მეტრზე, სთესენ სიდერანტს, გაზაფხულზე კი მას ნიადაგში ჩაბარავენ. იმ ხეებთან, რომელთაც სიდერანტები არ უთესიათ, გაზაფხულზე, გარდა ნაკელისა, 1,5-2 კილოგრამამდე სუპერფოსფატი და კალიუმის მარილი შეაქვთ, სიდერანტებიან ნაკვეთებზე საქონლის ნაკელი ნახევარი დოზის რაოდენობით, მინერალური მარილები კი სრული დოზით. გაზაფხულზე მცენარის კვების არეს მთლიანად ბარავენ. მთლიანად იბარება როგორც ვაკე ადგილები, ისე ტერასებიც. გადაბარვის შემდეგ მცენარეს უკეთებენ ნალისებურ არხს, რათა ხელი შეუშალონ ზედმეტი წყლის ჩადგომას, დაგუბებას. გადაბარვის შემდეგ გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ნიადაგი სისტემატურად მუშავდება. პირველად თოხნიან მაისის პირველ რიცხვებში. ამავე დროს ნიადაგში შეაქვთ აზოტოვანი სასუქი თვითეულ ძირთან 1-1,5 კილოგრამი (ახალგაზრდა ხეებთან ნაკლები). მეორე გათოხნა ხდება ივნისში, მესამე — ივლისში, ხოლო მეოთხე — აგვისტოში. უკანასკნელი გათოხნისას ითესება სიდერანტებიც—ხანჭკოლა, ბარდა და სხვ.

პლანტაციებში სისტემატურად ტარდება წამლობა. ძირითადად ნაყოფის აღების შემდეგ 2,5-პროცენტიანი კონცენტრატით ხდება შეწამლვა მწუწნავების (ფარიანების) წინააღმდეგ. პირველ რიგში სწამლობენ ახალგაზრდა, ჯერ კიდევ არამსხმოიარე მცენარეებს. ჩვეულებრივად ეს მუშაობა იწყება 1-ლი ოქტომბრიდან და გრძელდება თებერვლის ბოლომდე. იმ მიზნით, რომ სავსებით მოისპოს მწუწნავ მავნებელთა გავრცელების შესაძლებლობა, შეწამლვას ატარებენ როგორც დაავადებულ, ისე საღ ხეებზე. ამ წამლობის დამთავრების შემდეგ, აპრილიდან იწყება სოკოვან და სხვა ავადმყოფობათა წინააღმდეგ 1 პროცენტიანი ბორდოს სითხით წამლობა და გრძელდება ივნისამდე. 1 ივლისიდან იწყება წამლობა 2,5-პროცენტიანი გოგირდის ნახარშით (პოლისულფიდი) და კირნარევი გოგირდის შეფრქვევა. ამ ღონისძიებით ებრძვიან ვერცხლისებურ ტკიპის გაჩენა-გავრცელებას. წამლობა გრძელდება ნაყოფის დასრულებამდე. საგაზაფხულოდ და საშემოდგომოდ დაავადებულ ხეებზე დამატებით ტარდება ფუმიგაცია ციანნატრიუმის პრეპარატის საშუალებით. ამასთან მეურნეობაში ყოველწლიურად აპრილსა და მაისში ხდება ხეებზე დაზიანებული ტოტების მოჭრა-გამოწმენდა და დაწვა. თალის (კრონის) გაწმენდისას ხეზე აღარ რჩება ზედმეტი, დაზიანებული და დაავადებული ამონაყარი.

ციტრუსების ყინვისაგან დაცვის მიზნით ტემპერატურის ცვალებადობის გასაგებად მეურნეობის ცენტრში მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური, უბნების მიხედვით კი თვითეულ რაიონში 5-6 ადგილზე აქვთ თერმომეტრი და სისტემატურად ახდენენ დაკვირვებას. მეურნეობაში გარდა სანერგისა, დღემდე არ ყოფილა ციტრუსოვანთა მოყინვის თითქმის არც ერთი შემთხვევა. აქ თოვლიც იშვიათად იცის. მიუხედავად ამისა, პლანტაციების დაცვისათვის ქარსაფარი მცენარეები (წიწვიანები და ევკალიპტი) გაშენებულია 35 კილომეტრზე, 22 ჰექტარზე დარგულია ბამბუკი. შედარებით უფრო ცივი ადგილებისათვის (მეორე რაიონი) შეძენილი აქვთ 270 ცალი თბუნარა, რომელსაც ყინვის დროს იყენებენ. თოვლით ნარგავების დამტვრევის თავიდან ასაცილებლად ხეებს მოსავლის აღებისთანავე აკრავენ, ახალგაზრდა მცენარეებს კი ფუთავენ.

მეურნეობაში უმთავრესად ციტრუსებისა და ხურმის მოსავლიანობის გადიდების მიზნით მოშენებული ჰყავთ ფუტკარი. 208 სკა მოთავსებულია სამ ადგილას. თვითეული ოჯახიდან ყოველწლიურად 1 ფუთამდე თაფლს იღებენ. გარდა ამისა, ნაყრის სახით ლიმმანტრესტის განრიგით სხვადასხვა მეურნეობას ყოველწლიურად ეძლევა დაახლოებით 50 ოჯახი (წელს გაცემულია 55 ოჯახი).

კარგი მუშაობის შედეგად ყოველწლიურად გამოჰყავთ 200.000-მდე ძირი ციტრუსის ნერგი, წელს კი 165.000 ძირი დაამყნეს.

მეურნეობაში 81 მუშიდან 60 სტახანოველია. თვითეულ რაიონს ჰყავს თითო აგრონომი და ორ-ორი აგროტექნიკოსი. მტკიცედ იცავენ შრომის დისციპლინას და იბრძვიან აგროწესების საუკეთესოდ გატარებისათვის. სტახანოვური შრომით განსაკუთრებით გამოირჩევიან რ. ჯაჯანიძე, კ. მაზურიკი და ნ. ბარამიძე.

ბეჯითი შრომის შედეგად ურეკის საბჭოთა მეურნეობა იზრდება და მტკიცდება.

ტ. თოდრაძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

# გააჩაღეს მზრალად ხვნა

**ბორჯომი** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეობები შეუდგნენ მზრალად ხვნას. ხვნა განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს სოფელ დგვარის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. სალარიძე). კოლმეურნეები დავით, სამსონ და არჩილ გოგოლაძეები ყოველდღიურად გეგმით გათვალისწინებული 0,33 ჰექტარის ნაცვლად, 0,40-0,45 ჰექტარს ხნავენ. ხვნაზე ენერგიულად მუშაობენ ქალებიც — ვარა, თამარ და ქეთო გოგოლაძეები. ისინი გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ, ზუსტად იცავენ აგროწესებს.

მზრალად ხვნა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე დვირის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ხაჩიძე). მემინდვრეობის პირველი (ხელმძღვანელი ლ. ლომიძე) და მეოთხე (ნ. ბიბილური) ბრიგადები სამუშაო დროის მაქსიმალური გამოყენებით მნიშვნელოვნად აჭარბებენ მზრალად ხვნის გეგმებს.

მზრალად ხვნას ორგანიზებულად შეუდგა აგრეთვე ქვაბისხევის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ტ. მაისურაძე).

ვ. გელაშვილი

# ორპირის ჩაის ფაბრიკის მიღწევები

**ტყიბული** („კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან). ორპირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი ი. ჩიგოგიძე, მთავარი ტექნოლოგი მ. დეისაძე, პარტბიუროს მდივანი მ. ვერულაშვილი) თავდადებულად იბრძვის მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის გამოსაშვებად. აგვისტოს გეგმა მან 113,6 პროცენტით შეასრულა. უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 520 პროცენტით, ხოლო პირველი ხარისხისა — 155 პროცენტით.

ორპირის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა აგვისტოში გაიმარჯვა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მიიღო სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მეორე პრემია 15.000 მანეთი.

ჯილდოს მიღებამ ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია მთელ ფაბრიკაში. 25 დღის გეგმა სექტემბრის პირველ ნახევარში შესრულდა. ახლა წარმატებით მიმდინარეობს „საქართველოს თაიგულის" დამზადება.

# დემობილიზებულნი შრომის ფრონტზე

შ. გ. ზაქარიაშვილი ვატმანად მუშაობდა თბილისის ტრამვაის ტრესტში. სამამულო ომის დღეებში იგი წითელ არმიაში გაიწვიეს. ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის მშობლიურ კერას, ხოლო სტალინის რაიონის დემობილიზებულთა დამხმარე კომისიამ იგი მისივე სურვილით გაგზავნა ძველ სამუშაო ადგილზე.

ომგადახდილი მეომარი გულთბილად მიიღეს ამხანაგებმა. აღმოჩნდა, რომ წითელ არმიაში სამსახურის დროს ზაქარიაშვილი არა მარტო სამხედრო ცოდნითა და საბრძოლო გამოცდილებით აღჭურვილა, არამედ მას თავისი სპეციალობაც გაუმდიდრებია. დღეს იგი ტრამვაის ვაგონის მოტორების ამწყობად მუშაობს და თავის ახალ საქმიანობას ჩინებულად უძღვება.

ასეთი მაგალითები მრავალია სტალინის რაიონში. ქეთევან ალიბეგაშვილი, რ. კვინიკაძე, ნ. გამცემლიძე, ვ. მიქაძე, ა. მიროიანი და სხვები დემობილიზაციის შემდეგ კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ საწარმო-დაწესებულებებს. ბევრი მათგანი დაწინაურებულიც იქნა.

სტალინის რაიონის დემობილიზებულთა მიღებისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის კომისიამ (თავმჯდომარე — საქართველოს კ. პ. (ბ) სტალინის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ტატიშვილი) საგრძნობი მუშაობა გასწია ომგადახდილთა პირობების გაუმჯობესებისათვის. ჯერჯერობით აღრიცხულია 504 დემობილიზებული. აქედან კომისიამ 20 სექტემბრისათვის 240 კაცი გაგზავნა სხვადასხვა სამუშაოზე. დემობილიზებულთა ნაწილმა სწავლის [illegible] გამოთქვა. 29 კაცი მივლინებულია თბილისის სხვადასხვა სასწავლებელში.

კომისიამ მთელი რიგი ღონისძიებანი მიიღო დემობილიზებულთა სამრეწველო საქონლით მომარაგებისა და მატერიალური დახმარებისათვის. წარჩინებულმა მეკავშირემ ნინო კიკნაძემ ორი კუბმეტრი შეშისა და ტანსაცმლის ორდერი მიიღო. მასვე მიეცა 500 მანეთი ფულად. ელენე მელქაძემ ორი კუბმეტრი შეშა და 500 მანეთი ფული მიიღო. შ. ღლონიძეს საკოსტუმე მატერია მისცეს. მსგავსი დახმარება მრავალ დემობილიზებულს გაეწია. დემობილიზებულნი ბერძენიშვილი, ტიცინი და სხვები გაგზავნილ იქნენ კურორტებზე სამკურნალოდ. სისტემატურად და რიგგარეშე ეწევათ წითელი არმიის რიგებიდან დაბრუნებულ მებრძოლებს სამკურნალო დახმარება.

შედარებით ჩამორჩა დემობილიზებულთა საცხოვრებელი ბინების შეკეთების სამუშაოები. აგვისტოსა და სექტემბერში გათვალისწინებული იყო 44 ბინის შეკეთება. რაიაღმასკომის კომუნალური განყოფილების ცნობებით აქამდე შეკეთებულია მხოლოდ 23 ბინა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოახლოებული ზამთრის პირობებში დემობილიზებულთა საცხოვრებელი ბინების შეკეთება განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს და მისი შესრულება რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკების ღირსების საქმეა.

რ. თალაქვაძე

# ქმედითი დახმარება ომგადახდილებს

(თათბირი დემობილიზებულთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხზე)

საქართველოში ძირითადად დამთავრდა პირველი რიგის დემობილიზებულთა მიღება. უმრავლესობა უკვე მოწყობილია სამუშაოზე. ნაწილი ისვენებს ან მკურნალობს. მათ გაეწიათ სათანადო დახმარება—შეუკეთეს ბინები, დაეხმარნენ მატერიალურად.

როგორ პირობებში უხდებათ მუშაობა დემობილიზებულებს, რა დახმარებას უწევენ მათ საწარმოთა ხელმძღვანელები, რა უნდა გაკეთდეს კიდევ?—ამ საკითხებს მიეძღვნა დემობილიზებულთა თათბირი, რომელიც 28 სექტემბერს მოიწვია საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომმა. თათბირს დაესწრნენ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციების მდივნები, რაიონული პარტიული კომიტეტისა და რაიაღმასკომის მუშაკები, დემობილიზებულნი.

თათბირზე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ საწარმოებში დემობილიზებულები საუკეთესოდ მუშაობენ. მათ პირადი მაგალითით ახალგაზრდა მუშებში აამაღლეს დისციპლინისა და პასუხისმგებლობის გრძნობა. ხრამჰესის ავტობაზის მექანიკოსმა კოტალევსკიმ, რომელიც ახალგაზრდა მუშების ბრიგადას ხელმძღვანელობს, მიაღწია გაცდენების შემცირებას, მუშაობის საერთო გაუმჯობესებას. ბრიგადამ აგვისტოში 171 პროცენტით შეასრულა დავალება. ამავე ბაზაში დემობილიზებულმა მარკინმა ჩამოაყალიბა ახალგაზრდა მუშების ბრიგადა და რთულ სამუშაოს ასრულებს 227 პროცენტით. ავტობაზაში მოვიდა სულ 19 დემობილიზებული, რომლებსაც ადმინისტრაცია ეხმარება ბინების რემონტით, შეშით, სამრეწველო საქონლით.

კარგად ეხმარებიან დემობილიზებულებს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. თავიანთ ფაბრიკაში დაბრუნებულ მეომრებს საწყობის გამგეს ს. გოქსაძეს, საფაბრიკო-საქარხნო სკოლის აღმზრდელს ლილი კანდელაკს, სამღებრო-სააპრეტურო საამქროს ოსტატს ხაშუგიანს, ა. ბაქრაძეს და სხვებს ფაბრიკა დაეხმარა ფულით, სათბობით, აბრეშუმის ქსოვილით, სხვა სამრეწველო საქონლით.

თათბირზე გამოვიდნენ დემობილიზებულნი. ავტოსახელოსნოს ზეინკალმა შინდაზერიძემ, ხრამჰესის ავტობაზის მექანიკოსმა კოტალევსკიმ, ზეინკალმა მარკინმა, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველმა გოქსაძემ, საუკეთესო მზვერავმა გვარდიელმა. 8-ჯერ დაჭრილმა, დიდების II და III ხარისხის ორდენებით დაჯილდოებულმა, ამჟამად ჰოსპიტლის მომარაგების უფროსმა, დემობილიზებულმა დოლიძემ და სხვებმა ილაპარაკეს, რომ მათ გულთბილად შეხვდა საწარმოთა ადმინისტრაცია, გაუწია დახმარება როგორც მუშაობაში, ისე მატერიალურად, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ იმუშაონ სტახანოვურად და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ალავერდოვმა თათბირს უამბო, თუ როგორ მიმდინარეობს სამხედრო კომისარიატში დემობილიზებულთა მიღება, მათი საბუთების გაფორმება. ამჟამად სამხედრო კომისარიატის მუშაკები ემზადებიან მეორე რიგის დემობილიზებულთა მისაღებად.

საქართველოს კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა თ. ქვლივიძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ დემობილიზებულთა უმრავლესობა მოწყობილია სამუშაოზე. სულ რაიონში დემობილიზებულებს მიეცათ 280 კუბური მეტრი შეშა, 45.500 მანეთი ფულად, სამრეწველო საქონლის 419 ორდერი. შეკეთებულია დემობილიზებულთა 21 ბინა, მიმდინარეობს 22 ბინის შეკეთება. საწარმო-დაწესებულებათა უმრავლესობა კარგად მოემზადა დემობილიზებულთა შესახვედრად. ამ მხრივ ვერ იყო საქმე კარგად საკონდიტრო ფაბრიკაში და საბინაო სამმართველოში, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ეს საკითხი განხილულ იქნა რაიკომის ბიუროზე, მდგომარეობა გამოსწორდა.

სამუშაოზე მოწყობის გარდა, საჭიროა თვითეული დემობილიზებულის ოჯახური პირობების შესწავლა და მათთვის ქმედითი დახმარების გაწევა. ამ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ საწარმო-დაწესებულებათა ადმინისტრაციამ, პარტორგანიზაციებმა, რაიაღმასკომის მუშაკებმა, საბჭოს მუდმივ მოქმედმა კომისიებმა, დეპუტატებმა. აუცილებელია ბინების სარემონტო სამუშაოთა გაძლიერება. საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ სამშობლოს მამაც დამცველთა საყოფაცხოვრებო და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად.

# სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში
## ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციები

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა წელს მოაწყო 10-ზე მეტი ექსპედიცია, რომლებმაც გამოიკვლიეს სსრ კავშირის სხვადასხვა ხალხთა წარმოშობის ისტორია, მატერიალური კულტურა და ყოფა-ცხოვრება.

იაკუტიიდან დაბრუნდა ექსპედიცია, რომელიც ეწეოდა ნაკლებშესწავლილი ჩრდილოეთელი ხალხის—იაკუტების ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ გამოკვლევას. ექსპედიციის ნამუშევარი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იაკუტელი ხალხის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, ამ ხალხის სამშობლოდ ბევრი მკვლევარი ბაიკალისპირეთს სთვლის.

წელს დასავლეთ ჩერნიგოვშჩინაში საინტერესო მუშაობა შეასრულა მეცნიერ-ეთნოგრაფთა კოლექტივმა. ეს რაიონი, რომელიც ბელორუსიის საზღვრის მახლობლად მდებარეობს, წარმოადგენს ბელორუსული და უკრაინული კულტურის შესაყარ ადგილს. გერმანელების მიერ დამწვარ სოფლებში, სადაც ახალი მშენებლობა სწარმოებს, მეცნიერები დაწვრილებით გაეცნენ ნაგებობათა ტიპს, აღნიშნეს ხალხური ხუროთმოძღვრების ძველი ტრადიციების აღორძინება აღდგენის პროცესში მყოფ უკრაინულ სოფლებში. გამოკვლევის მასალები შეავსებს წიგნში, რომელიც მიძღვნილია აღმოსავლეთელი სლავის ბინის ევოლუციისადმი.

ჩუკოტის ნახევარკუნძულზე მუშაობს ცნობილი მეცნიერი ანთროპოლოგის გ. ფ. დებეცის ხელმძღვანელობით. მას გაუთვის ნახევარკუნძულის ძირითადი მოსახლეობის —ჩუქჩებისა და ესკიმოსების პირველი ანთროპოლოგიური გამოკვლევა.

ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ს. პ. ტოლსტოვი მეთაურობს კომპლექსურ ექსპედიციას ხორეზმში, სადაც იყო შუა აზიის უძველესი კულტურული სახელმწიფო. ექსპედიციის ნამუშევარი შეავსებს პროფესორ ტოლსტოვის მრავალი წლის არქეოლოგიურ გამოკვლევას.

ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში—კომის რესპუბლიკაში, ამიერკარპატის უკრაინაში, მოლდავეთსა და კარელიაში გაგზავნილ დიდ ექსპედიციათა გარდა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფები ეწევიან ეთნოგრაფიულ და ანთროპოლოგიურ გამოკვლევებს. მათ მიერ მიღებული მასალა გამოყენებულ იქნება ინსტიტუტის ატლასში „მსოფლიოს ხალხები". (საკდესი).

# ანასეულის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში

(მახარაძე, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).

### ჩაის ფოთლის ჭკნობის ხანგრძლივობის შემცირება

ჩაის ფოთლის ჭკნობა ფაბრიკაში ჩვეულებრივად 6-8 საათს გრძელდება. ანასეულის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა ააგო ახალი ტიპის დანადგარი, რითაც ჭკნობის პროცესი 2 საათამდე შემცირდა. ეს დანადგარი კარგ ეფექტს იძლევა.

წელს ინსტიტუტმა კვლავ გააუმჯობესა საჭკნობი დანადგარი. მუშაობა სწარმოებს ინჟინერ ანთიძის მიერ აგებულ დანადგარზე, რომელიც 7-მეტრიან ცილინდრს წარმოადგენს. ცილინდრში 40-42° ტემპერატურის ჰაერს ისეთი სისწრაფით უშვებენ, რომ იქ ჩაყრილი ფოთოლი განუწყვეტლივ მოძრაობს და ჭკნობა 15 წუთში მთავრდება.

### კოფეინის გამოხდის ახალი საშუალება

ჩაის გამხმარი ფოთლებიდან ხდიან კოფეინს.

კოფეინის გამოსახდელად ქარხანაში დღემდე იყენებენ ქლოროფორმს, რომელიც ძვირად ფასობს და ნაკლებადაც იშოვება. მის შესაცვლელად ანასეულის ინსტიტუტში სწარმოებს ცდები, რომელსაც ინჟინერ-ტექნოლოგი გ. შარკოვსკი ხელმძღვანელობს. ქლოროფორმი შეცვლილია ნავთით. ამ მეთოდით კოფეინის დამუშავება რთულ ტექნიკურ დანადგარებს არ მოითხოვს და ადვილი მისაწვდომია.



ᲤᲝᲗᲘ. ლ. პ. ბერიას სახელობის ფოთის სახელმწიფო თეატრი.

ფოტო ა. გეკაბანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲤᲝᲗᲘ

### ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲘ

კულტურის სახლში მოწყო ლენინისა და სტალინის ოთახი. აქ შეკრებილ მასალები და სურათები ასახავენ ვლადიმერ ილისაძე ლენინისა და იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას. გამოყენებულია სპეციალური კონსულტანტი, რომელიც დამთვალიერებელთ დეტალურად უხსნის წარმოდგენილ მასალებს და უამბობს მათთან დაკავშირებულ ისტორიას.

### 20 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲪᲐᲚᲘ ᲒᲠᲘᲠᲘᲞᲨᲠᲣᲢᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲘᲗ

ფოთის ლ. პ. ბერიას სახელობის გრეიფშრუტის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სანიმუშოდ უკლის ციტრუსოვანთა პლანტაციებს. კარგი შოვლის შედეგად ნაყოფი მთლიანად არის შენარჩუნებული. წელს მეურნეობა სახელმწიფოს გეგმის გადამტებით ჩააბარებს 20 ათას ცალ მაღალხარისხოვან გრეიფშრუტის ნაყოფს.

### ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲔᲜᲐ

გაიხსნა დიდი გამოფენა, რომლის ერთ-ერთი სტენდი მიძღვნილია განახლებული კოლხიდისა და საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომისადმი. გამოფენა გააფორმა მხატვარმა ი. ვეფხვაძემ.

გამოფენა ყოველდღე დიდძალ მაყურებელს იზიდავს.

### „ᲮᲔᲕᲘᲡᲑᲔᲠᲘ ᲒᲝᲩᲐ"

ლ. პ. ბერიას სახელობის სახელმწიფო თეატრმა თავის 1945-46 წლის სეზონი გახსნა ს. შანშიაშვილის პიესით „ხევისბერი გოჩა".

პიესა დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. გოძიაშვილმა. მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები: მ. ვკალია, ა. მაგრაგელიძე, ვ. მეკიაშვილი, ჭ. კოსხიდელი.



ᲤᲝᲗᲘ. ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲫᲔᲠᲬᲛᲔᲜᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲐᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲔᲜᲚᲘᲗ.

ფოტო ა. გეკაბანისა.

### საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ᲓᲠᲝᲗᲘᲗ

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

**ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ („ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲮᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ).** ტყიბულში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა სტალინის სახელობის შახტის მერვე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი. ამ უბნის მეშახტეებმა იაკისრეს ქვანახშირის მოპოვების სექტემბრისა და ოქტომბრის გეგმის 120 პროცენტით და მოსამზადებელი სამუშაოების გეგმის 130 პროცენტით შესრულება, რატომღაც მეშაობის დანერგვა და შრომის ნაყოფიერების 10 პროცენტით გაზრდა.

მერვე უბნის მეშახტეთა ინიციატივას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ. ახლა მთელ ტყიბულში განაღებულია საოქტომბრო შეჯიბრება.

შახტებს შორის ყველას გაუსწრო ლენინის სახელობის შახტამ, რომელმაც 25 დღეში ათასამდე ტონა ქვანახშირი აქვს ამოღებული გეგმის გადამტებით. შახტში პირველობას კვლავ გ. ფანჩულიძის უბანი ინარჩუნებს. კარგად მეშაობენ სტალინის სახელობის შახტის პირველი (უფროსი შ. შოთაძე) და მესამე (უფროსი მ. ვერულაშვილი) საექსპლოატაციო უბნები. ისინი ახლა ყოველდღიურად 20-50 ტონა ქვანახშირს იძლევიან გეგმის გადამტებით.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორმა სტალინის სახელობის შახტის მერვე საექსპლოატაციო უბნის კოლექტივმა, რომელსაც სამთო ტექნიკოსი პ. ნანიკაშვილი ხელძღვანელობს, ქვანახშირის მოპოვების სექტემბრის გეგმა 24 დღეში შეასრულა. ეს უბანი ახლა 120-130 ტონა ქვანახშირს იძლევა ყოველდღიურად თვიური გეგმის გადამტებით.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში ტყიბულქვანახშირის ტრესტი 108-110 პროცენტით ასრულებს სადღეღამოსო გეგმებს.

**Დ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ**

## ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲚᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ

**ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘ, („ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲮᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ).** საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამ ქიათურის მაღაროებსა და ქარხნებში ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია.

განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროამ, სადაც მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების 9 თვის გეგმები 26 სექტემბრისათვის უკვე შესრულებული იყო. შეჯიბრებაში დაწინაურებულთა შორის უველაზე კარგად მუშაობენ ბ. ეკეზოშვილისა და შ. გიფერნდაშვილის უბნები და ბუროსანდების ქარხნის, (დირექტორი ამხ. მოდებაძე) კოლექტივი.

### ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ 1 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების დღეებში თბილისის სპილენძსტაკეი ქარხნის სტახანოველები ახალ-ახალ საწარმოო წარმატებას აღწევენ. სექტემბრის საწარმოო დავალება ქარხანამ ვადაზე ხუთი დღით ადრე, ე. ი. 25 სექტემბრისათვის 103 პროცენტით შეასრულა.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური საწარმოო გეგმა 1 ნოემბრისათვის შეასრულოს და წლის ბოლოდე სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მისცეს 220.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. გაჩაღებულია მუშობა ამ ვალდებულების შესრულებისათვის. შეჯიბრებაში ყველაზე უკეთეს მაჩვენებლებს აღწევს მდნობელთა ბრიგადა, რომელსაც მ. დავითაშვილი ხელძღვანეულობს. სექტემბრის საწარმოო გეგმა ამ ბრიგადამ 18 დღით ადრე 136 პროცენტით შეასრულა. ნაკისრ ვალდებულებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს აგრეთვე ქარხნის გალვანური საამქროს (უფროსი შ. ჭანტარია) კოლექტივი. ამ საამქროს წლიური გეგმა 25 სექტემბრისათვის ჩვენმა შესრულებული. საამქროს კოლექტივი ცალკე დღეების მიხედვით სარეკორდო მაჩვენებლებს იძლევა. მაგალითად, 27 სექტემბერს საამქროს გეგმის გადამტებით 3.300 მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

მდნობელთა შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში სექტემბერში დაწინაურდნენ ბ. მეკიდლაშვილი, ფ. კიკნაძე, შ. ვარდიაშვილი, ვ. ბენდიაშვილი, ხოლო მგლინავებს შორის — ნ. შომბარა, მ. სეფაშვილი, ლ. დოლიძე, გ. კვირიკაშვილი და ი. ქვათაძე.

**შ. ᲭᲘᲮᲕᲐ**

### მეოთხე ხუთწლედის ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

## ᲤᲔᲠᲝᲨᲔᲜᲐᲒᲜᲝᲑᲗᲐ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲔᲥᲘᲔᲑᲘ

მეოთხე სტალინური ხუთწლედი ახალ, ბრწყინვალე პერსპექტივებს უსახავს ზესტაფონელ მეტალურგებს. პირველი მონახაზები უკვე შედგენილია. ქარხანა უფრო მძლავრი, მაღალნაყოფიერი გახდება, საამშობლო მიიღებს კიდევ უფრო მეტ ფეროშენადნობს.

1945 წელთან შედარებით 1950 წლისათვის ფეროშენადნობთა ქარხნის საერთო პროდუქცია ოთხნახევარჯერ გაიზრდება. შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 351 პროცენტით.

ცალკე საამქროების მიხედვით ასეთი სურათი ჩვენებია: სადნობი საამქროს წარმადობა 60 პროცენტით გაიზრდება, ფერომარგანეცის საამქროსი—20 პროცენტით, ხოლო მოლიბდენისა — 140 პროცენტით.

განსაკუთრებით დიდი ზრდაა გათვალისწინებული ელექტროლიზური მარგანეცის საამქროს მშენებლობასთან, რომელიც 1948 წელს უნდა დამთავრდეს. ამ საამქროს აშენება და მოწყობა 32 მილიონი მანეთი დაჯდება.

სერიოზული სამუშაოების შესრულებაა გათვალისწინებული ოჯახმთის ხალეფონისა და კირქვის საბადოებზე. 1948 წლისათვის დამთავრდება ამ საბადოების სრული მექანიზაცია, რისთვისაც 9 მილიონ მანეთზე მეტი თანხაა ნავარაუდევი. ამთან 126 პროცენტით გაიზრდება ხალეფონისა და კირქვის ᲛᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲠᲗᲔᲑᲐ.

ᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲬᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲠᲬᲧᲐᲚᲗᲐ ᲛᲔᲛᲠᲬᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ 165 მილიონი მანეთი იქნება დაბანდებული. სამრეწველო ობიექტებს შორის პირველ რიგში გათვალისწინებულია საკუთარი ჰიდროელექტროსადგურისა და ელექტროლიზური მარგანეცის საამქროთა აშენება. ვარაუდობენ, რომ პირველის მშენებლობა 90 მილიონი მანეთი დაჯდება, ხოლო მეორისა — 32 მილიონი. გარდა ამისა, მოხდება სადნობი და ფერომარგანეცის საამქროთა რეკონსტრუქცია მათი წარმადობის გაზრდის თვალსაზრისით. უნდა აშენდეს აგრეთვე გოგირდის მეკვის დამამზადებელი საამქრო, რაზედაც 2.500.000 მანეთი დაიხარჯება. ეს საამქრო ექსპლოატაციაში შევა 1948 წლისათვის.

საბინაო მშენებლობის დარგშიც ფართო პროგრამაა დასახული. ამ მიზნით 9,5 მილიონი მანეთი დაიხარჯება. აშენდება საერთო საცხოვრებლები, საბავშვო ბაღები, ბაგები, ეკერები.

1946 წელი მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველი წელი იქნება. ამ წლისათვის ქარხნის კოლექტივი აქედანვე ემზადება.

**პ. ᲞᲘᲝᲙᲐᲫᲔ**

**„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲮᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ.**

## ᲨᲐᲥᲠᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲐ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ

**ᲥᲐᲠᲗᲚᲘ („ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" ᲐᲮᲣᲗᲐᲠᲘ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ).** მოახლოვდა აგარის შაქრის ქარხნის ამუშაკების სეზონი. ქარხნის კოლექტივმა სეზონისათვის მზადება განაფიცულიდანვე დაიწყო. დიდება ორმაქლის საკონტროლო ქვაბი, რაც ქარხანას უზრუნველყოფს ორმაქლით, გადაკეთდა ნახშირის ღუმელები, შეცვლილ იქნა სორთქლე მილგაყვანილობა, გადაკეთდა გენერატორი და სადიფუზიო დანაგარები.

ამასთან ერთად გაწეულია დიდი მუშაობა ქარხნის ზამთრის სეზონისათვის მოსამზადებლად. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სპროდუქტო საამქროების კაპიტალური რემონტი, ეკრისა და სახერავის შეკეთება, საცხოვრებელი ბინების დათბუნება. აღგილზე სწარმოებს კაფრების მომზადება-გადამზადება, შემზადდა ნახშირის და კირქვის მარაგი მთელი ზამთრისათვის და სხვ.

მაგრამ ქარხანა ჯერ კიდევ საკმაოდ მზად არ არის ქარხლის გადასამუშავებლად. ამორთქლებელი ქვაბების კაპიტალური რემონტი ფერხდება ამის გამო, რომ ვერ მოიმარაგეს მილები. არც მიმღები პუნქტებია მზად.

ქარხნის ხელმძღვანელობამ უახლოეს დღეებში უნდა გამოსწოროს ეს ნაკლოვანებანი, ყოველმხრივ მომზადებული შეუდგეს შაქრის გამოშვებას.

**Ვ. ᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲫᲔ**

## ᲤᲝᲗᲘ ᲓᲦᲔᲡ

ფოთი მნიშვნელოვანი ქალაქია შავი ზღვის სანაპიროზე.

ამ ქალაქმა ისტორიულად დიდი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ფოთის საშუალებით უკავშირდებოდნენ საქართველო და წინა აზიის სხვა ქალაქები დასავლეთსა და აღმოსავლეთს. მე-19 საუკუნეში რკინიგზამ და დიდმა ნავსადგურმა ფოთი უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ოქტომბრის ქალაქებს. შსოლელი ბაზარზე ფოთის საშუალებით გაითქვა სახელი ქიათურის მარგანეცმა.

მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, თვითმპყრობელობის დროს ფოთი მაინც ჩამორჩენილი, პროვინციული ტიპის ქალაქი იყო. ჭაობში ეხრჩობოდნენ მცხოვრებნი, ხოლო ზმირი წყიმებისა და წყალდიდობის დროს სანაპიროებზე გადმოვარდნილ რიონის ტალღებს ზღვაში მიაქონდა ხალხის ავლა-დიდება. ფოთის კეთილმოწყობისა და განვითარებისათვის არავინ ზრუნავდა.

ფოთის ნამდვილ ქალაქად გადაქცევა, მისი მშენებლობა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ომყარების პირველი დღიდანვე ბოლშევიკების პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ განსაკუთრებული ენერგიით მოკიდეს ხელი ქალაქის მშენებლობისა და კეთილმოწყობის საქმეს.

უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ-დასავლეთით ქალაქს შემოავლეს მაღალი ეგბერი, რითაც სამუდამოდ მოისპო წყალდიდობის საშიშროება. ყოველწლიურად დიდძალი საბიუჯეტო თანხა იხარჯებოდა ფოთისათვის. ქალაქი მშვენდებოდა, ვითარდებოდა.

ქალაქის ისტორიაში დაუვიწყარ ფურცლად შევიდა 1932 წელი. მაშინ ფოთი ინახულა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

— 1932 წელი ამხანაგი სტალინი ჩამოვიდა ფოთში და დაათვალიერა იგი. საკვირაოა, რომ ამხანაგ სტალინის შემდეგი ჩამოსვლისათვის ფოთმა, კოლხიდამ განასახიეროს მის მითითებათა განხორციელება და გახდეს ბელადის შეხვედრის ღირსი, — სთქვა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ.

ეს სიტყვები ფოთის ბოლშევიკების საბრძოლო ლოზუნგი გახდა.

კოლხიდის მშენებლობის გრანდიოზულ გეგმაში, რომლის განხორციელებისათვის წლების მანძილზე შეუწყვეტელი ენერგიით მუშაობდა ჩვენი ხალხი, ფოთს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. ახალ კოლხიდაში ფოთი უნდა გადაქცეულიყო სანიმუშო ქალაქად. იგი უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი ულამაზესი, კეთილმოწყობილი ქალაქი და სულ მოკლე დროში ჩამდგარიყო საბჭოთა კავშირის სხვა კეთილმოწყობილ ქალაქთა რიგში.

მართალია, ჩვენს ქვეყანაზე ფაშისტური გერმანიის ვერაგულმა თავდასხმამ ხელი შეუშალა ამ რთული და პასუხსაგები ამოცანის მთლიანად შესრულებას, მაგრამ ფოთის ბოლშევიკებს ერთი წუთითაც არ შეუნელებიათ ზრუნვა ქალაქის კეთილმოწყობისათვის.

სამამული ომის ფრონტზე ბევრი ფოთელი პატრიოტი წავიდა, რომლებმაც ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი საბჭოთა სამშობლოს წინაშე. ზურგში დარჩენილმა ამხანაგებმა განაგრძეს მშობლიური ქალაქის აღმშენებლობა, რათა ამხანაგ ბერიას მითითებათა საფუძველზე ფოთი გადაქცეათ აყვავებულ ბაღად. ისინი ფრონტსაც ეხმარებოდნენ და საყვარელ ქალაქსაც ამშვენებენ.

უკანასკნელ წლებში ქალაქის ყველა ძირითადი ქუჩა უკვე მოასფალტებულია. დამთავრდა აგრეთვე სხვა ქუჩების კაპიტალური რემონტი. ქალაქის სხვადასხვა ადგილს გაკეთებული რკინა-ბეტონის 29 ბოგირი.

გამწვანების დარგშიც ნატარდება მნიშვნელოვანი სამუშაობა. უმოკლეს ვადაში დარგეს 17.000 სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მცენარე და მარად მწვანე ხე. ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკი შემოკავებულია რკინა-ბეტონით. თვით პარკში დამატებით დარგულია მრავალი ასეული ძირი დეკორატიული, წიწვიანი და ფოთლოვანი ხე. ნავსადგურის ტერიტორიაზე გაშენდა ორი ალეური, რომელთა მოედნები მოასფალტებულია. გამწვანებულია აგრეთვე რკინიგზის სადგურის საკმაოდ დიდი მოედანი.

ქალაქში მდინარე რიონის სამხრეთ ტოტზე დამთავრდა ხიდის რეკონსტრუქცია. ქალაქის ცენტრისაკენ ბერიას სახელობის მოედნამდე გაყვანილია მოასფალტებული ქუჩა, რომლის ორივე მხარეზე ლამაზ გაზონებში დარგულია დფნა, ეკალიპტი და სხვა დეკორატიული მცენარეები.

აშენდა მშვენიერად გაფორმებული საზაფხულო კინოთეატრი, რომელიც 800-მდე მაყურებელს იტევს. სამკამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის სატელეფონო ქსელის გაფართოება. უკვე ჩამოტანილია ახალი დანადგარები, ამპარატები და სხვა საჭირო მასალები.

ნარიონალში ჩამდგარი წყლის დასუფთავებისა და მისი უკეთესად გადაკეთების მიზნით მოწყობილია წყლის საკაჩი სადგური. ამ ღონისძიებამ შეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო და ხელი შეუწყო რიონის ძველი კალაპოტის დაჭაობების თავიდან აშორებას.

სამამული ომის წლებში სამხედრო საჭიროებისათვის დათმობილი კულტურულ-საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობები ახლა კაპიტალურად შეკეთებულია და დანიშნულებისამებრ გადაეცა საეპსლოატაციოდ.

მოწესრიგებულია ქალაქის ელექტროქსელი. ამკამად განათებულია როგორც ქალაქის ცენტრი, ისე განაპირა უბნები. ელექტროენერგია ეძლევა არა მარტო ქალაქს და მის საწარმოდაწესებულებებს, არამედ ფოთში შემავალ სასოფლო სამეურნეოებსაც.

ფოთმა სუფთა დასალევი წყალი მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ მიიღო 100 კილომეტრ მანძილიდან. თუკის მილებით მოდის ეს წყალი. ამკამად გაცხოველებით მიმდინარეობს წყალსადენის ქსელის გაფართოება. უმოკლეს დროში 472 მოსახლის ბინაში გაიყვანეს წყალი. წყალსადენი მილების საეპსლოატაციო მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია.

სამამული ომის პერიოდში ქალაქის კეთილმოწყობისათვის ჩატარებულ სამეშოთა თვალსაჩინო სოფათა წარმოადგენს ქალაქის ცენტრში მოედანზე მოწყობილი ფოტოგამოფენა. აქ ასახულია ის მიღწევები, რომლებიც ფოთელებმა მოიპოვეს.

კოლხიდისა და ქალაქ ფოთის მშენებლაა ლავრენტი ბერიას სახელობის მოედანი. იგი დაგშლილია კოტეტრისა და დასვენების პარკიდან მოკიდებული რიონის სანაპირომდე 400 კვადრატულ მეტრ ფართობზე. მოედანი მოასფალტებულია. მას ამშვენებენ ცისფერი და ფერადყვავილებიანი გაზონები. ქალაქის თეატრის ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმართულია ხალხთა დიდი მეგობრის ამხანაგ სტალინის მონუმენტი, რომელიც გამოკვეთილია 65 ტონიანი ერთი მთლიანი ქვისაგან. ცნობილია, რომ ფოთი დაგვმილია მარაოსებურად. მისი ყოველი ქუჩა იწყება ქალაქის ცენტრიდან, სწორედ ამ მოედნიდან. ხელაღის მონუმენტი აღმართულია ცენტრში. ამიტომ მონუმენტი მოსჩანს ქალაქის ყველა ამწვანებული ქუჩის ბოლოდან.

ეს მონუმენტი წარმოადგენს არა მარტო ფოთის, არამედ მთელი ახალი კოლხიდის სიამაყეს. მისი საზეიმო გახსნა მოხდება დღეს.

ისე შენდება და ვითარდება ამხანაგ ბერიას მითითებათა საფუძველზე კოლხიდის მთავარი ქალაქი.

ფოთის მშრომელები ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დღითი დღე ალამაზებენ თავიანთ ბალ-ქალაქს.

**Გ. ᲙᲝᲚᲮᲘᲫᲔ**

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ,** 28 სექტემბერი. (საკდესი). მსოფლიო პროფკავშირული კონფერენციის დილის სხდომაზე, რომელიც საბჭოთა დელეგატ ამხ. კუზნეცოვის თავმჯდომარეობით შესდგა, სიტყვა წარმოსთქვა კუბის დელეგატმა ლასარო პენიამ. მან დაჰგმო ფაშისტური რეჟიმი ესპანეთსა და არგენტინაში და განაცხადა, რომ მშრომელთა საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის გადადებას უაღრესად სერიოზული შედეგები მოჰყვება მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობისა და ხალხებისათვის. „მსოფლიო პროფკავშირულმა ფედერაციამ,—სთქვა მან,—უნდა აღმართოს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ფაშიზმისა და რეაქციის მოსპობის დროშა. მან აგრეთვე მხარი უნდა დაუჭიროს კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების ეკონომიური პროგრესისა და საერთო განვითარების პროგრამას. აი რატომ არ შეუძლია ამ ფედერაციას თავი შეიზღუდოს პირწმინდა პროფკავშირული როლით და წინასწარ განაცხადოს, რომ მისთვის უცხოა პოლიტიკური პრობლემები, როგორც ამას ვალტერ სიტრინი მოითხოვდა".

კონფერენციის საღამოს სხდომაზე, რომელიც ამერიკელი დელეგატის ჰილმენის თავმჯდომარეობით შესდგა, პირველად გამოვიდა ირლანდიის პროფკავშირთა წარმომადგენელი ლინჩი. მან განაცხადა, რომ ის პროფკავშირები, რომელთაც იგი წარმოადგენს, მხარს უჭერენ მსოფლიო პროფკავშირული ფედერაციის შექმნას. კანადის დელეგატმა კონროიმ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, ...

რების აღმასრულებელ კომიტეტში პატარა ქვეყნების წარმომადგენლობის გაფართოების შესახებ. ისე როგორც ინდოეთის დელეგატმა, ოპარამ განაცხადა, რომ მომავალი ფედერაციის პოლიტიკური მოღვაწეობა საჭიროა კოლონიური ხალხებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროფკავშირული მოძრაობის დამოუკიდებლობა. ჩინეთის პროფკავშირული დელეგაციის წარმომადგენელმა შუ-დემ მოიწონა ფედერაციის წესდების პროექტი, მასში ყოველგვარი შესწორების შეუტანლად.

რუმინეთის დელეგატი აპოსტოლი კონფერენციას მიესალმა რუმინეთის პროფკავშირთა მილიონნახევარი წევრის სახელით. აპოსტოლმა მოითხოვა მსოფლიოს ყველა მშრომელის გაერთიანება, რომელთაც აქვთ ერთნაირი ინტერესები და შეუძლიათ ერთად იმოქმედონ იმისათვის, რომ მოსპონ ფაშიზმი და აღადგინონ მშვიდობა.

შემდეგ კონფერენციაზე გამოვიდა მომხსენებელი წესდების პროექტის საკითხზე ლუი საიანი, რომელმაც პასუხი გასცა კამათში გამოთქმულ ზოგიერთ კრიტიკულ შენიშვნასა და შესწორებაზე. საიანმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ არც ერთ ორატორს არ გაუკრიტიკებია კონფერენციის მორალური ერთიანობა. რაც შეეხება შენიშვნებს მომავალი ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების წევრთა რაოდენობის თაობაზე, საიანმა წინადადება შეიტანა—გადიდებულ იქნას აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობა პატარა ქვეყნების წარმომადგენელთა შეყვანით. საიანი ...

... უნდა იქნას ყველა ქვეყანა, და კანადისათვის მოითხოვა ადგილი აღმასრულებელ კომიტეტში.

სირიის დელეგატმა ოპარამ მოიწონა წესდების პროექტი და მხარი დაუჭირა შესწო-

... ვებას ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაციის მასობრივი ზრდის გამო და ეს ზრდა ახსნა აღტაცებით, რაც გამოწვეულია მოკავშირეთა არმიების ღონისძიებებით, რომლებმაც ხალხები გაათავისუფლეს პიტლერული ჩაგვრისაგან.

## ᲔᲘᲖᲔᲜᲰᲐᲣᲔᲠᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ,** 28 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გენერალ ეიზენჰაუერის შტაბის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა სმიტმა პრესის წარმომადგენლებს აცნობა, რომ მომავალ კვირაში ეიზენჰაუერი გამოუძახებს პატონს პირადი მოხსენებისათვის ბავარიაში მისი მოქმედების შესახებ. ეს გამოძახება შედეგია პატონის მიერ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადებისა, რომ „ნაცისტური პარტია ჰგავს ამერიკულ პარტიებს არჩევნების დროს" და რომ მას, პატონს, „საჭიროდ არ მიაჩნია დენაციფიკაცია — ჰიტლერელების მოშორება ხელმძღვანელი პოსტებიდან გერმანიაში".

პატონმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, მიუხედავად ეიზენჰაუერის ბრძანებისა ჰიტლერელების მოშორების შესახებ, აგრეთვე წინააღმდეგ ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა ახალი განკარგულებისა, რომელიც ყველა გერმანელი მეწარმისაგან მოითხოვს დაუყოვნებლივ დაითხოვონ ჰიტლერელები, იმათ გარდა, ვინც უბრალო მუშები არიან, პატონი კვლავ აცხადებს, რომ ბავარიაში მყოფი ამერიკის ჯარები უნდა „შეურიგდნენ" ვაჭრებს, წვრილ მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს, რომლებიც წინათ ჰიტლერულ პარტიაში ირიცხებოდნენ.

**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ,** 28 სექტემბერი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს დაწვრილებითს ცნობებს გენერალ-ლეიტენანტ სმიტის მიერ პრეს-კონფერენციაზე გაკეთებული განცხადების შესახებ. სმიტმა სთქვა, რომ ეიზენჰაუერი არავითარ შეღავათს არ დაუშვებს დენაციფიკაციის შესახებ ბრძანების შესრულებისას. სმიტმა უარი განაცხადა ეწინასწარმეტყველა, რა ბედი ეწევა პატონს, თუ ეიზენჰაუერი უკმაყოფილო დარჩა მისი პირადი საანგარიშო მოხსენებით. ამერიკული პრესის კრიტიკული გამოსვლები გერმანიაში ამერიკის საოკუპაციო პოლიტიკის შესახებ, რაც პატონის განცხადებასთან დაკავშირებით გაძლიერდა, ახლა კიდევ უფრო მწვავე გახდა.

გაზეთი „პ. მ." კვლავ მოითხოვს პატონის გადაყენებას და აცხადებს, რომ არმიაში შეუძლებელია „წინააღმდეგობანი" და რომ, თუ პატონი თავის პოსტზე დასტოვეს, ეს შესაძლებლობას მოგვცემს ვიგულისხმოთ, რომ ეიზენჰაუერის ბრძანება ხელმძღვანელი პოსტებიდან ჰიტლერელების მოშორების შესახებ მიზნად ისახავს მხოლოდ შთაბეჭდილება მოახდინოს საზოგადოებრიობაზე, ამავე დროს კი უფროსები ფარულად აძლევენ თავიანთ ხელქვეითებს ინსტრუქციას — უგულებელჰყონ ეს ბრძანება.

გაზეთ „პ. მ"-ის კორესპონდენტი ბერნშტეინი, რომელიც ამას წინათ გერმანიიდან დაბრუნდა, ჰგმობს ამერიკელ ოფიცრებს ჰიტლერელებთან „ძმაბიჭობისათვის".

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠ ᲞᲐᲢᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

**ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ,** 28 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა სამხედრო მინისტრმა პატერსონმა თავის პირველ პრეს-კონფერენციაზე მოუწოდა შენარჩუნებულ იქნას საკმაო შეიარაღებული ძალები მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად. პატერსონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე ძნელი ...

... ვართ. ამასთან ეს ოკუპაცია შეიძლება იმდენ ხანს გაგრძელდეს, რამდენიც საჭირო იქნება. ასეთი ოკუპაციის განხორციელება არ შეიძლება, თუ შეიარაღებული ძალების საჭირო რაოდენობა არ გვეყოლა. ოდნავი ეჭვიც არ უნდა არსებობდეს იმაში, რომ ჩვენ მზად ვართ და უნარი შეგვწევს შევასრულოთ ეს".

შემდეგ პატერსონმა განაცხადა, რომ სამ-...

## ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მუშაობა ლონდონში დასასრულს უახლოვდება.

საბჭოს მუშაობის ორი კვირისა და მეტი ხნის მანძილზე დღის წესრიგში იდგა მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხები: იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი და მის კოლონიურ სამფლობელოთა ბედი, საკითხი იტალია-იუგოსლავიის საზღვრის შესახებ და ფინეთსა, რუმინეთსა და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტები.

გარდა ამისა, საბჭომ განიხილა შეთანხმება ავსტრიის გრძელვადიანი მომარაგების შესახებ, დებულება ევროპის შინასაწყლო მიმოსვლის განსაკუთრებული რეჟიმის შესახებ, საბჭოთა მოქალაქეების რეპატრიაციის დაჩქარების შესახებ, საფრანგეთის დელეგაციის მემორანდუმები ზარალის ანაზღაურებისა და გერმანიაში კონტროლისა და ადმინისტრაციის საკითხის შესახებ.

ბუნებრივია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ ესოდენ დიდი საკითხების განხილვამ უცხოეთის პრესაში გაცხოველებული კომენტარები გამოიწვია.

უცხოეთის პრესაში ცოტა როდია შავბნელი წინასწარმეტყველება მინისტრთა თათბირის შედეგთა შესახებ. მთელმა რიგმა კორესპონდენტებმა საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის გამო სათანადო კითხვებითაც კი მიმართეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ტრუმენს. ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას პრეს-კონფერენციაზე ტრუმენმა ...

... გერმანელთაგან განთავისუფლებული უნგრეთის ტერიტორიის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მიერ დემოკრატიულ საწყისებზე არჩეული დელეგატებისაგან, და წარმოადგენდა ყველა დემოკრატიულ პარტიას, პროფკავშირებს, ქალაქისა და სოფლის თვითმმართველობებს და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მთავრობაში წარმოდგენილია უნგრეთის ყველა დემოკრატიული პარტია: ეროვნულ-გლეხური პარტია, სოციალ-დემოკრატიული, კომუნისტური პარტიები და წვრილ მიწისმფლობელთა პარტია. მათ შექმნეს „უნგრეთის ნაციონალური დამოუკიდებლობის ფრონტი".

დროებითმა ნაციონალურმა მთავრობამ 1944 წლის 27 დეკემბერს ომი გამოუცხადა გერმანიას და თავის წინაშე დასვა უნგრეთის დემოკრატიულად გარდაქმნის ამოცანა. დაშლილ იქნა ყველა ფაშისტური, პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაცია. 1945 წლის მარტში მთავრობამ დაამტკიცა დეკრეტი მიწის რეფორმის შესახებ.

ეს დეკრეტი უნგრეთის დროებითი მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. მიწის საკითხი უნგრეთში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მწვავე საკითხი იყო ყოველთვის და უნგრეთის რეაქცია ყოველნაირად აბრკოლებდა მის გადაჭრას. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით, 1938 წელს 16 ათასი უნგრელი მემამულე ჰფლობდა უნგრეთის სასოფლო-სა-...

## ᲩᲕᲔᲜᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის ფიზკულტურისა და სპორტის პარკის მშენებლობა ვაკეში. სურათზე: რუსთაველის თეატრის მუშაკები შაბათობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

## ᲥᲚᲣᲮᲝᲠ-ᲢᲔᲑᲔᲠᲓᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲝᲐᲡᲤᲐᲚᲢᲔᲑᲐ

ქლუხორიდან 45 კილომეტრზე თვალწარმტაც ადგილზე მდებარეობს კურორტი ტებერდა, სადაც ყოველწლიურად ათასობით საბჭოთა ადამიანი ისვენებს. ტებერდაში ოთხი მინერალური წყაროა, რომელთა სადღეღამისო დებიტი 30.000 ლიტრს აღემატება. კურორტი კეთილმოწყობილია. აქ არის 340 სხვადასხვა ნაგებობა, ამათგან 146 სანატორიუმის შენობაა 1.600 საწოლით. მას აქვს საკუთარი ჰიდროელსადგური მდინარე მუხაზე, რადიოკვანძი და სხვ.

ეს საკავშირო მნიშვნელობის კურორტი რაიონულ ცენტრთან დაკავშირებული იყო საურმე გზით. მიმდინარე წელს გადაწყდა ქლუხორ-ტებერდის გზის მოასფალტება. გზის სიგრძე 45 კილომეტრი იქნება, განი—6 მეტრი. რაიონის მშრომელებმა აგვისტოს პირველ რიცხვებში შეუდგნენ გზის მშენებლობას. დღეისათვის მთელ ტრასზე მოყრილია ხრეში. ამ დღეებში გზის მშენებლები შეუდგნენ გზის მოასფალტებას. ყოველდღიურად 2 კილომეტრს აპირკეთებენ. უკვე მოასფალტებულია 15 კილომეტრი.

## ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲐᲜᲐᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

[illegible]

## ᲮᲣᲚᲝᲜᲘᲡ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘ

... ბულმა გეოლოგიურმა სამმართველომ წალენჯიხის რაიონის სოფელ ხულონის მიდამოებში ჩაატარა ქვანახშირის საბადოების საძიებელი სამუშაოები. წარმოებული გათხრებიდან გამოირკვა, რომ ამ სოფლის მიდამოებში მოი-... ნახშირის ლავები.

ამჟამად მიმდინარეობს მუშათა საცხოვრებელი ბინების აგება. უახლოეს ხანში დაიწყება შახტების მშენებლობა.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ახალი სეზონის პირველ პრემიერად დადგა გ. ქელბაქიანის „მუსაფირი ჯილდო". როლებს ასრულებდნენ მსახიობები გ. ტყაბლაძე, ბ. რომანიშვილი, მ. კუსიანი, ვ. სვანელი, თ. ლოლაძე, ბ. დერმიშიძე, შ. ბანეთიშვილი, მ. სუქოსიანი, კ. ქამუშაძე, გ. მოდებაძე.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ვაშაძემ, მხატვრულად გააფორმა მხატვარმა მ. აბეანიძემ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲖᲐ

გაცხოველებით მიმდინარეობს მაიაკოვსკი–სარმე-დიდმალალის ახალი საავტომობილო გზის გაყვანა, რომლის სიგრძე 36 კილომეტრს შეადგენს. გზის მშენებლობაში მონაწილეობენ მაიაკოვსკის, ვანის, ზესტაფონის, ქუთაისის, ჩხარის და ორჯონიკიძის რაიონების კოლმეურნეები.

გზის მშენებლობა წლის ბოლოსათვის დამთავრდება.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ

[illegible]

## ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

### ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

28 და 29 სექტემბერს მოსკოვში ჩატარდა „სსრ კავშირის თასის" ...

[illegible]

## ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ

[illegible]

## ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

[illegible]

## ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

[illegible]

## ᲙᲘᲜᲝᲔᲑᲨᲘ

[illegible]

[illegible]

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

ტირაჟი 91.800